

ბერაზილია რა მისი რაზმისაა მისი

ბერახიანი და მისი საუბრეები

რეგულაცია და მორეგრების
დაბადება

ეროვნული კენჭი



ედღვნება

ცისკარა ბალანჩივაძესა და ქეთი მაჭავარიან-ბალანჩივაძეს,

ასევე, პიანისტის, კომპოზიტორისა და მხატვრის

ჯარჯი ბალანჩივაძის ხსოვნას

1941-2011

ელიზაბეტ კენდელი
ბალანჩინი და მისი დაკარგული მუზა

Elizabeth Kendall
BALANCHINE AND THE LOST MUSE



Government of the United States

Funded through the Book Translation Program,
U.S. Embassy in Georgia



დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს
წიგნების თარგმნის პროგრამის ფარგლებში



წიგნი გამოიცა თბილისის კულტურული ღონისძიებების
ცენტრის მხარდაჭერით

მთარგმნელი ხათუნა ბასილაშვილი

რედაქტორები ცირა ჩიკვაძე, მარიკა კვესელაშვილი

კონსულტანტი ილია თავაძერიძე

დიზაინერი ბესიკ დანელია

© Oxford University Press 2013

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2014

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-478-6

www.diogene.ge

საჩიქო

წინასიტყვაობა – XI

მადლობა – XVII

მოქმედი პირები – XXI

შესავალი – 3

თავი პირველი – მარია და მელიტონი – 23

თავი მეორე – გიორგი – 47

თავი მესამე – თეატრალური სასწავლებელი: ბიჭები – 79

თავი მეოთხე – ლიდოჩკა – 111

თავი მესამე – თეატრალური სასწავლებელი: გოგონები – 135

თავი მეექვსე – 1917 – 189

თავი მეშვიდე – თეატრალური სასწავლებელი:

შიმშილის ხანა – 227

თავი მერვე – ახალი ეკონომიკური პოლიტიკა (ნეპი) – 295

თავი მცხრამე – „ახალგაზრდა ბალეტი“ – 353

თავი მათამე – ბოლო წელი: გაფხულიდან გაფხულამდე – 387

თავი მეთერთმეტე – სიკვდილი და ცხოვრება – 451

წყაროების შესახებ – 511

შენიშვნები – 513

ბიბლიოგრაფია – 545



ბალანჩინი

ბალანჩინი (BALANCHINE) „ჯორჯ ბალანჩინის ტრასტის“
(The George Balanchine Trust) სავაჭრო ნიშანია. სურათის
მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით ნიუ-იორკის საბალეტო არქივს.
საბალეტო საზოგადოების კოლექციიდან.

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნის დაწერა ორმა შემთხვევამ შთამაგონა. პირველი 1981 წელს მოხდა, როდესაც „ნიუ-იორკ სითი ბალეს“ დამფუძნებელს, ამერიკული ბალეტის ფუძემდებელ ჯორჯ ბალანჩინის ლინკოლნის ცენტრში განთავსებულ მის ოფისში ვესაუბრე. მაშინ „ფორდის ფონდმა“ ბალეტის ახალგაზრდა კრიტიკოსი ბალანჩინთან ინტერვიუზე მიმავლინა. იმ დროს ის 77 წლის იყო, თხელი და მკვირცხლი, მაღალ შუბლს უკან გადავარცხნილი ჭაღარა თმა უმშვენებდა. „მოსაწყენი კითხვები უნდა დამისვათ?“ – ამ სიტყვებით შემეგება ბალანჩინი და სავარძლიდან წამოდგა. დასტურის ნიშნად გავუღიმე და წასასვლელად მოვემზადე. რა უფლება მექონდა, მისთვის დრო წამერთმია? „ჯერ კითხვები მოვილიოთ და მერე ვისაუბროთ“, – მითხრა მან მკვახედ და თან ეშმაკურადაც. ჯერ ფონდის საქმეებზე ვისაუბრეთ, მერე მან 1920-იანი წლების პეტროგრადში ცხოვრება გაიხსენა. ინტერვიუზე იმიტომ ხომ არ დამთანხმდა, რომ ახალგაზრდა ქალებთან ურთიერთობა სიამოვნებდა? მიაბო, როგორ შიმშილობდა, ლუკმაპურისთვის ფულის საშოვნელად უნაგირებს

ამზადებდა, კინოთეატრებში დანჯლრეულ ფორტეპიანოს უკრავდა, თუმცა ეს ყველაფერი ადრე იყო. ახლა კი არ-ხეინ და თავდაჯერებულ ამერიკაში ვიყავით, საიდანაც ეს ყველაფერი ისევე შორეულად მოჩანდა, როგორც დედა-მიწიდან უახლოესი ვარსკვლავი. თავი მის ადგილას წარმოვიდგინე. ვცდილობდი, მისი მონათხრობი არა მარტო მომესმინა, არამედ შემეგრძნო და განმეცადა. რუსეთის ისტორიაზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა. ჩემი ცოდნის სიმწირის გამო, ქორეოგრაფს კიდევ უფრო მეტი მტკივნეული დეტალის გახსენება მოუხდა. იგი ამბებს ზღაპრებივით მიამბობდა.

ბალანჩინის „ნიუ-იორკ სითი ბალე“ 1973 წელს, ნიუ-იორკში ჩამოსვლისთანავე, შემეყვარდა. თუმცა „შემეყვარდა“ სწორი არ არის. თანამედროვე ავანგარდული ცეკვის შესახებ სტატიის დასაწერად ჩამოვედი, ყველა აქაურ დასს გავეცანი და „ნიუ-იორკ სითი ბალეზე“ შევიშალე. ვგრძნობდი, რომ ჩემში მათი ბალეტი თითქმის რელიგიურ ექსტაზს ბადებდა: აღტაცებას, გაოცებას, მადლიერებას იმ სილამაზისა და ლტოლვის, დაუოკებელი ვნების გამო, რასაც სცენაზე ვხედავდი და რაც ასე ძალუმაღ იგრძნობოდა ამ დასის, განსაკუთრებით კი – ბალერინების ცეკვაში. ახალგაზრდა ქალები ის-ის იყო ფემინისტური იდეების გაცნობას იწყებდნენ. ჩვენი კულტურის რომელ დარგში, ხელოვნების რომელ ქმნილებებში შეიძლებოდა ქალის სულის დანახვა და სცენაზე წარმოდგენა?

ყოველივე ეს ამ ბალეტებში იყო. თავის ქორეოგრაფიაში ბალანჩინი ქალს შინაგანი სამყაროს წარმოჩენის არათუ შესაძლებლობას აძლევდა, არამედ მოითხოვ-

და ამას. მის ბალეტებში ქალები პარტნიორებს თამამად ეცეკვებოდნენ. თუმცა მარტონიც, დამოუკიდებლადაც ცეკვავდნენ და აუდიტორიას „ელაპარაკებოდნენ“. ბალანჩინის შემოქმედებაში მთავარი ყოველთვის ბალერინა იყო, ვინც ყველას მზერას იპყრობს. ბალერინის სხეული მუსიკით ივსება და მას ფიზიკურ არსებად აქცევს, განასხეულებს. „სითი ბალეს“ 1970-იანი წლების ბალერინებმა (განსაკუთრებით, ალევრა კენტმა, სიუზან ფარელმა და პატრიცია მაკბრაიდმა) გაცილებით მეტი შეძლეს. თითოეული მათგანი თვალის დახამხამებაში რომელიმე იმ ეპოქის მითურ გმირ ქალად იქცეოდა, რომელიც ბალეტმა ჩვენს დრომდე განვლო: ხან ფრანგული რომანტიზმის ალალ სისასტიკეს განასახიერებდნენ, ხან – ნიღბების კომედიის სიანცეს, ზოგჯერ რუსული რომანსების მეღანქოლიას გადმოსცემდნენ და ზოგჯერ კი – ცარიზმის დროინდელი სანკტ-პეტერბურგის მედიდურობას. მაგრამ ბალერინები საკუთარ თავს არასოდეს კარგავდნენ და ყოველთვის თანამედროვე ქალებად რჩებოდნენ. მოცეკვავეები იმ დროის მუსიკის ფეთქვას გრძნობდნენ რომელშიც გადაინაცვლებდნენ; ისინი ხან ჭკნებოდნენ, მაგრამ მალევე აღდგებოდნენ და განწმენდილნი და გასხივოსნებულები წარდგებოდნენ იმ ყმაწვილი ქალის წინაშე, რომელიც ჩაბნელებული დარბაზიდან შესცქეროდა მათ.

მეორე შთაგონება გაცილებით გვიან, 2000-იანი წლების დასაწყისში, მეწვია. სანკტ-პეტერბურგის ლეგენდარული ვაგანოვას სახელობის აკადემიის მუზეუმში გახლდით. ბალანჩინმა ცეკვის ხელოვნება ამ სკოლაში

შეისწავლა, სადაც სხვადასხვა დროს ისეთი უდიდესი მოცეკვავეები სწავლობდნენ, როგორებიც იყვნენ: ნიჟინსკი, ნიჟინსკა, ნურიევი, მაკაროვა, ბარიშნიკოვი და სხვები. მუზეუმის კურატორის საწერი მაგიდის თავზე ზეთის საღებავებით შესრულებული ნახატი ეკიდა: შავთმიანი მოცეკვავე დამწუხრებული ზის, ხელები ფურფუშელებიან საცეკვაო კაბაზე აქვს დაწყობილი. აქამდე რატომ არსად მინახავს ეს სურათი? მივუახლოვდი და წარწერა ამოვიკითხე: „ლიდია ივანოვა – ლიზა „ჯადოსნურ ფლეიტაში“.

ეს გოგონა ბალანჩინის კლასელი და მეგობარი გახლდათ. დასავლეთში გამგზავრებას ერთად აპირებდნენ, მაგრამ გოგონა ვერსად წავიდა: წინა დღეს დაიხრჩო. შესაძლოა ეს მკვლელობა იყო. მართალია, ბალანჩინის ბიოგრაფიებში მისი სახელი მოხსენიებულია, მაგრამ არც



მისი სურათი ჩანს სადმე და არც მათი ურთიერთობის ახსნა უცდია ვინმეს. ლიდიას სიკვდილისა და სიცოცხლის შესახებ ბალანჩინის ბიოგრაფები ჯიუტად ღუშან. გოგონა, რომელიც ახლა ნახატიდან მიცქერდა, იქნებ, პირველი იყო, ვინც ბალერინად ბალანჩინის თვალწინ ჩამოყალიბდა; პირველი, ვინც ჯერ მისი მეგობარი იყო, შემდეგ კი მუზად იქცა.

უზარმაზარი მუზეუმის პირველ სართულზე მარტო ვიდექი და მუზეუმის კურატორს ვუცდიდი. ყველგან უდიდესი მოცეკვავეების სურათები და ფოტოები ეკიდა. მოჩვენებებიც ხომ არ ბუდობდნენ ამ სურათებში? თუკი ასეა, ლიდიას სულიც აქ იქნებოდა – რა მოასვენებდა? არავინ იცოდა, როგორ ან რატომ დაიღუპა ეს გოგონა. მისი პორტრეტი კი თავად ბალანჩინეც ახლებურ წარმოდგენას გვიქმნიდა. სურათი აქ იმიტომ არ ეკიდა, რომ ლიდია ჩვენთვის კარგად ნაცნობი ამბის ერთი მონაწილე იყო. არა. ამ გოგონას საბჭოთა ბალეტში საკუთარი ისტორია ჰქონდა, რომელსაც ასე საგულდაგულოდ გვიმაღავდნენ „რკინის ფარდით“. მასზე საბჭოთა ემიგრანტებიც ღუშდნენ.¹ რომ გამაგებინა, რა მოხდა... ალბათ, ბალანჩინის ახალგაზრდობის წლებსაც უკეთ ჩავწვდებოდი და იმასაც მივხვდებოდი, როგორ იქმნებოდა მისი საოცარი ბალეტები.

არაჩვეულებრივი მოგზაურობა იყო. ყველგან – რუსეთში, ფინეთში, საქართველოსა და თვით ამერიკის

¹ როგორც მოგვიანებით შევითყვე, 1959 წელს მუზეუმის დამაარსებელი მარიეტა ფრანკოპულო, რომელიც ბალანჩინის „ახალგაზრდა ბალეტში“ ცეკვავდა, მოხიბლული ყოფილა ლიდოჩკათი. მან ლიდოჩკას პორტრეტი მუზეუმის დიდ დარბაზში ჩამოკიდა და მის ჩამოხსნაზე ჯიუტად უარს ამბობდა, მიუხედავად იმისა, რომ ლიდოჩკას იდუმალებით მოცულ დაღუპვაზე ლაპარაკი საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო.

შეერთებულ შტატებშიც კი – არქივები გადავქექე, მოვი-
არე ბიბლიოთეკები, მუზეუმები, სხვადასხვა ქალაქის ქუ-
ჩები, ხმაურიანი ბინები, მოვინახულე ტყეში ჩაკარგული
შენობების ნანგრევები. გავშიფრე რუსული ხელნაწერი
ტექსტები, გამოვიკვლიე საბჭოთა კავშირის დროინდელი
მემუარები, შევისწავლე ფინეთის ტოპოგრაფიული რუკე-
ბი, აღვფრთოვანდი ქართული ორნამენტული ანბანით,
რომელიც ვერ ვისწავლე, თუმცა ტექსტები მეგობრებმა
მითარგმნეს. ამ წიგნის წერისას მივხვდი, რომ არქივე-
ბის, მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების თანამშრომლები
ნამდვილი გმირები არიან, რომლებიც გაცილებით მეტ
პატივისცემასა და დაფასებას იმსახურებენ. ისინი ჩვენს
გარდასულ დღეებს იცავენ, წარსულის ყოველ ფრაგმენტს
უფრთხილდებიან, იმ წარსულისა, რომელმაც ჩვენი აწმ-
ყო შვა. ეს ადამიანები გვასწავლიან, როგორ დავბრუნ-
დეთ წარსულში და ჩავწვდეთ მის სულს. რომ არა ისინი,
ვერც ამ ორი ახალგაზრდის ამბავი იხილავდა დღის სი-
ნათლეს.

პაროზა

ამ წიგნის დაწერაში დიდად დამეხმარა ნიუ-იორკის სა-
ჯარო ბიბლიოთეკის დოროთი და ლუის ბ. კულმანის ცენ-
ტრი; ფულბრაიტის ფონდი; ლიხაჩოვის ფონდი (სანკტ-
პეტერბურგი, რუსეთი) და ნიუ-იორკის უნივერსიტეტი
(CUNY), ასევე ლეონ ლევის ბიოგრაფიის ცენტრი. რომ
არა მათი თანადგომა, წინამდებარე წიგნი ვერ დაიწერე-
ბოდა. უდიდესი მადლობა მინდა ვუთხრა რეჟისორებს,
დირექტორებსა და ჩემს კოლეგებს, განსაკუთრებით: მე-
დისონ სმარტ ბელს, ადამ ბეგლის, გარი გიდინს, ლინდა
გორდონს, ალექსანდრ კობაკს, სტივენ კოტკინს, ჯონათან
ლევის, დანიელ მაქსს, ანა შულგატს, ჯინ შტრაუსს, ელენა
ვიტენბერგსა და ბრენა ვაინაპელს.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ბა-
ლანჩინის ფონდსა და ბალანჩინის ტრასტს (The George
Balanchine Trust) ჩემდამი გამოჩენილი ნდობისა და თა-
ნადგომისთვის, ასევე, ნიუ-სქულის ეუჟინ ლანგის სახე-
ლობის კოლეჯს.

მადლობას ვუხდის რუსეთის ისტორიის სახელმწიფო
არქივის თანამშრომლებს (განსაკუთრებით, ვლადიმერ

ბერსენევს), სანკტ-პეტერბურგის ლიტერატურისა და ხელოვნების არქივს; მოსკოვის სამხედრო ისტორიის არქივს, მიკელის სამხარეო არქივს ფინეთში; ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკას; საქართველოს ეროვნულ არქივს, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმს; ა. ვაგანოვას სახელობის რუსული ბალეტის აკადემიას მისი რექტორის – ბატონ ალექსეი ფომკინის მეთაურობით; სანკტ-პეტერბურგის თეატრისა და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმის შესანიშნავ თანამშრომლებს: მთავარ კურატორ ტატიანა ვლასოვას, ელენა ფედოსოვას, ელენა გრუშვიცაიას, ელენა ამპელოგოვას, გალინა პოგოდინას, სერგეი ლალეტინსა და ჩემს „მშობლიურ“ ფინეთის ეროვნულ არქივს, განსაკუთრებით მაირე აჰოს, ირმა რეიონენსა და ირინა ლუკას.

უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო მკვლევრებს: ირინა ანისიმოვას (პეტერბურგი), რამაზ ობოლაძესა და რუსიკო ლაბაძეს (თბილისი), კოსმო ბჟორკენაიშის, გლებ ბაუდინს, მაქს კუნსა და ნათან ტრაუერს (ნიუ-იორკი).

ჩემს ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის უდიდეს მადლობას ვუხდის პიო კაბადას, დეზი ფურმანს, დინ ფილპოტს, ლიზა სპაეტს და „გუდ-ენდ-პლენთის“ ყველა თანამშრომელს.

დიდ მადლობას ვუხდის ჩემს მეგობრებსა და კოლეგებს: პოლინა ბარსკოვას, ტომას ბენდერს, ჯუდი ბერნსტაინ-ბაზლს, ალექსანდრა ჩასინს, არლენ კროსეს, ლეილა დედიაშვილს, პაველ დიმიტრიევს, თამარა ფედოტოვა-გერშოვას, ჯემი გამბრელს, ლინ კარაფოლას, უენდი გიმბელს, ვალერი გოლოვიცერს, ელენა გრაჟევას,

შარლოტა ჰენზს, ჯენიფერ ჰომანს, მარვინ ჰოშინოს, ჯუსი ილტანენს, ლაურა ჯაკობსს, ალექსანდრე კაპლიუკს, ირინა კლიაგინს, პოლ კოლნიკს, ირინა კოლპაკოვას, გაბრიელა კომლევას, ლუსი კოსტელანეცს, თამრიკო კვაჭაძეს, ჯოელ ლობენტალს, სტივენ ლოველს, ნინა მატუშევსკაიას; ბალეტის მოყვარულებს: აწ გარდაცვლილ სტანისლავ მაქსიმოვს, ალექსეი ნედვიგას, ჯერი და ჰელენ პოლინსკებს, ვადიმ რიხლიაკოვს, ტიმოთი შოლს, ვლადილენ სემიონოვს, ტატიანა სემიონოვას, ლუის სიგელბაუმს, ირინა სიტნიკოვას, არკადი სოკოლოვ-კამინსკის, ელენ სორინს, აწ გარდაცვლილ რიჩარდ სტაიტს, ევგენია ტიკოტსკის, იური ცივიანს, სოლომონ ვოლკოვს, კარინ ფონ აროლდინგენსა და უენდი უოლტერს.

მადლობას ვუხდით ყველა მოცეკვავეს, რომლებმაც თავიანთი გამჭრიახობა და ძალისხმევა ჩააქსოვეს ბალანჩინის ბალეტებში: ძველ თაობასაც და „ნიუ-იორკ სითი ბალეს“ ახალგაზრდა მოცეკვავეებსაც, რომლებიც სცენაზე დღესაც ასე დიდებულიად ცეკვავენ.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს წარმომადგენელ ლეინ ზაკარისა და ჩემს რედაქტორ ნორმან ჰირშს ასევე – „ოქსფორდ უნივერსიტი პრესის“ შესანიშნავ გუნდს, განსაკუთრებით, რედაქტორის თანაშემწე ლიზბეტ რედფილდს, ტექნიკურ რედაქტორ ჯოელინ აუსანკასა და არაჩვეულებრივ სტივ დოდსონს.

უღრმესი მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ამ წიგნის გარშემო ერთ ოჯახად გაერთიანდნენ: ქეთი ბალანჩივაძესა და ცისკარა ბალანჩივაძეს (ვისაც ეძღვნება კიდევ ეს წიგნი), სტას ეუსტს, ბარბარა ჰორგანს, მიპორა

კარგს, დარია ხიტროვას, ელენა კუნიკოვას, მანანა კვატაძეს, ირინა ლუკას, ლინა პალარის, დარია პავლოვას. მადლობას ვუხდის კიდევ ორ ადამიანს, რომლებმაც წიგნის დაწერაში განუზომელი დახმარება გამიწიეს, იმდენად დიდი, რომ თავადაც ვერ წარმოუდგენიათ: ულრიკა ჰალბერგსა და მარგო ჯეფერსონს.